

	შპს უსაფრთხოების აკადემია	თარიღი	იანვარი 2024
	საფინანსო სამსახურის დებულება	თავი/მუხლი	1 - 5
		გვერდი	2/4
		რევიზია	0

მუხლი 1. ზოგადი დებულება

- 1.1. კოლეჯის შპს „უსაფრთხოების აკადემია“ (შემდგომში – კოლეჯი) საფინანსო სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის დებულებით, წინამდებარე დებულებით და კოლეჯის სხვა ნორმატიული აქტებით.
- 1.2. სამსახური ანგარიშვალდებულია კოლეჯის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

- 2.1. სამსახურის მიზანია ფინანსური რესურსების მართვის გზით ეფექტიანად წარმართოს კოლეჯის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა.
- 2.2. სამსახურის ამოცანები:
 - 2.2.1. კოლეჯის ფინანსური რესურსების მართვა და ფინანსური ანგარიშგება;
 - 2.2.2. კოლეჯის ფინანსურ ბრუნვასთან დაკავშირებული პროცესების განხორციელება;
 - 2.2.3. სტრატეგიული განვითარებისა და სამომედო გეგმებით დასახული ამოცანების შესრულების ფინანსური უზრუნველყოფა;
- 2.3. სამსახურის ამოცანები:
 - 2.3.1. კოლეჯის ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის გატარება;
 - 2.3.2. კოლეჯის ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა.
- 2.4. სამსახურის ფუნქციები:
 - 2.4.1. კოლეჯის ფინანსური პოლიტიკის, პროცედურების და წესების შემუშავებაში მონაწილეობა;
 - 2.4.2. კოლეჯის ბიუჯეტის პროექტის შედგენა და დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების ზედამხედველობა;
 - 2.4.3. საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიში;
 - 2.4.4. ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების განხორციელება;
 - 2.4.5. ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა, დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი;
 - 2.4.6. შესყიდვების განხორციელება;



შპს უსაფრთხოების აკადემია

თარიღი	იანვარი 2024
თავი/მუხლი	1 - 5
გვერდი	3/4
რევიზია	0

საფინანსო სამსახურის დებულება

- 2.4.7. ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მაგერიალური რესურსებისა და ძირითადი კაპიტალაბანდების აღრიცხვის უზრუნველყოფა;
- 2.4.8. ქონების ინვენტარიზაციის უზრუნველყოფა;
- 2.4.9. ხელფასების, სტიპენდიების და სხვა ფულადი სარგოს დარიცხვა და გაცემა;
- 2.4.10. სალაროს ოპერაციების განხორციელება;
- 2.4.11. საბანკო ოპერაციების განხორციელება და აღრიცხვა;
- 2.4.12. საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

- 3.1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის რექტორი.
- 3.2. სამსახურის უფროსი:
 - 3.2.1. მონაწილეობას იღებს კოლეჯის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმების შემუშავებაში;
 - 3.2.2. ახორციელებს კოლეჯის ფინანსურ რესურსებზე კონტროლს;
 - 3.2.3. შეიმუშავებს, ნერგავს და ავითარებს ფინანსური მართვის ქმედით მექანიზმებს;
 - 3.2.4. უზრუნველყოფს კოლეჯის მიზნიდან გამომდინარე ფინანსური რესურსების კანონიერად, გამჭვირვალედ, და ეფექტიანად გამოყენებას;
 - 3.2.5. ახორციელებს კოლეჯის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას;
 - 3.2.6. ამზადებს და წარადგენს კვარტალურ და წლიურ ფინანსურ ანგარიშებს;
 - 3.2.7. წარუდგენს რექტორისთვის ყოველი თვის ბოლოს სახელფასო ანგარიშს;
 - 3.2.8. ახორციელებს შესყიდვებს - განსაზღვრავს შესყიდვების ფორმებს, უზრუნველყოფს შესყიდვებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს და ამზადებს შესყიდვებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს;
 - 3.2.9. ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ნაწილში თანამშრომლობს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებთან;
 - 3.2.10. კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს კორესპონდენციას და რეაგირებს მასზე;

	შპს უსაფრთხოების აკადემია	თარიღი	იანვარი 2024
		თავი/მუხლი	1 - 5
	საფინანსო სამსახურის დებულება	გვერდი	4/4
		რევიზია	0

3.2.11. კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

4.1. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეგანა

5.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეგანა ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტით, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს კოლეჯის საბჭო.